გაცვლითი პროგრამა ვარშავის ეკონომიკის სკოლაში:

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს ვარშავის ეკონომიკის სკოლასთან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 2 საუკეთესო სტუდენტის შესარჩევად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბაკალავრიატის სტუდენტებს.

შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გაცვლაში მონაწილეობის მიღების მსურველ ბაკალავრიატის სტუდენტს დასრულებული უნდა ჰქონდეს სწავლის ერთი წელი.

კრედიტების აღიარება: ვარშავის ეკონომიკის სკოლაში აღებული კრედიტების აღიარება მოხდება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის შესაბამისი სასწავლო პროგრამის ფარგლებში.

შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მასპინძელ უნივერსიტეტში სასურველი საგნების შესარჩევად სტუდენტებმა წინასწარი კონსულტაცია უნდა გაიარონ GIPA-ს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

პოლონეთში სწავლის ხანგრძლივობა:
ერთი სემესტრი (2019 წლის შემოდგომის სემესტრი (გამოცდების ჩათვლით): 28 სექტემბერი 2019 - 9 თებერვალი, 2020)

სასწავლო განრიგის, საგნების ჩამონათვალის, ვარშავაში ცხოვრების და ბინის დაქირავების საფასურთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე:

http://administracja.sgh.waw.pl/en/cpm/international_exchange/incoming_students/exchange/Pages/default.aspx

სწავლის საფასური:

ვარშავის ეკონომიკის სკოლასთან გაფორმებული პარტნიორობის ფარგლებში, GIPA-ს სტუდენტებს არ მოუწევთ ვარშავაში სწავლის საფასურის გადახდა. თუმცაღა, შერჩეულმა სტუდენტებმა უნდა დაფარონ GIPA-ში მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური.

შენიშვნა: შერჩეულმა სტუდენტებმა თავად უნდა დაფარონ საერთაშორისო მგზავრობის, ცხოვრების, სავიზო მოსაკრებლისა და დაზღვევის ხარჯები!

საკონკურსო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

- სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე, არაუმეტეს ერთი გვერდისა);
- ერთი სარეკომენდაციო წერილი (ინგლისურ ენაზე);

- ნიშნების ამონაწერი (ინგლისურ ენაზე, GPA-ის მითითებით);

დაინტერესებულმა სტუდენტებმა **ა/წ 15 მარტის 16 საათამდე** უნდა გამოაგზავნონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი შემდეგ ელ-ფოსტაზე: n.bakradze@gipa.ge

სტუდენტთა შესარჩევი პროცესი:

- დოკუმენტაციის შემოწმება;
- გასაუბრება აპლიკანტთან ინგლისურ ენაზე;

შერჩევის კრიტერიუმები: 2 საუკეთესო აპლიკანტი გამოვლინდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- მაღალი GPA
- ინგლისურ ენის ცოდნის მაღალი დონე
- აპლიკანტის მოტივირება
- დახასიათება/რეკომენდაცია

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ელ-ფოსტის საშუალებით: n.bakradze@gipa.ge ან მითითებულ ნომერზე: 577 57 75 11

არასრული ან/და დაგვიანებული განცხადებები არ მიიღება!